ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 190 (19631) ◆ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1986 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲖᲠᲓᲘᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲒᲖᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐᲡ

ᲒᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚᲘ მაღაროელები, რომლებმაც წინა კვარტალის მუშაობის მაჩვენებლებით ქვეყნის მონათესავე საწარმოებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავეს, დღითი დღე ზრდიან შრომითს რიტმს. მაგალითად, ივლისში მათ მოიპოვეს 3,5 პროცენტით მეტი მანგანუმი, ვიდრე ივნისში, ხოლო აგვისტოს პირველი დეკადის დავალება სამი დღით ადრე შეასრულეს.

მეტი და მაღალხარისხოვანი მადნის მოპოვებისათვის განსაკუთრებით თავდადებულად შრომობენ გვირაბგამყვანები ა. ჩუბინიძე, ი. მაჭარაშვილი, ა. ქურციკიძე, ელმავლის მემანქანეები ბ. გელაშვილი, ა. ყიფშიძე, ვ. ნადირაძე და სხვები. მათ 3-4 თვით გაუსწრეს კალენდარს.

ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲤᲘᲠᲛᲐ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ხუთწლედის ბოლო წლებში საგრძნობლად ჩამორჩნენ გულრიფშის რაიონის წებელდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმის მუშაკები, მათ ვერ შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის დავალებანი, ასევე [illegible] ვერ შესრულებულა წარმოების გეგმაც.

მეურნეობის დირექციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა შეისწავლეს ჩამორჩენის მიზეზები და დასახეს მათი გამოსწორებისათვის სათანადო ღონისძიებანი. კერძოდ, ფერმა დაკომპლექტდა კვალიფიციური კადრებით, ბევრი რამ იღონეს გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებისათვის. ჯოგის შემადგენლობა შეიცვალა მაღალპროდუქტიული ჯიშებით. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საკვები ბაზისათვის ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას.

მეთორმეტე ხუთწლედის [illegible] ... ᲬᲚᲔᲑᲨᲘ [illegible] ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘᲐᲜᲘ [illegible] ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ [illegible] ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲨᲘ [illegible] ᲓᲐᲒᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ [illegible] ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ [illegible] ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ [illegible] ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲝᲑᲐᲨᲘ [illegible] ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ [illegible] ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲨᲘ [illegible] ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ [illegible] ᲬᲚ

თუ ადგილზეც მოიწადინებენ...

ამას წინათ ქალაქ ვლადივოსტოკისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: „ახლა ჩვენ გვაქვს ხანგრძლივი პერსპექტივისათვის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად მოქმედების ვრცელი პროგრამა... გვაქვს ამ პროგრამის საბრძოლო დეტალიზაციაც — მეთორმეტე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმა“. აქედან ყველაფერი ნათელია: შესრულდება სახელმწიფო გეგმები — ხორცს შეისხამს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მასშტაბებიც, რასაც დიდი ყურადღება მიექცა საკავშირო XXVII ყრილობაზე, ხოლო სკკ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი ივნისის პლენუმზე პირდაპირ ითქვა, რომ ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების ბაზაზე დასახულია განხორციელდეს დიდი სოციალური პროგრამა, რომლის რეალიზაციას მოხმარდება ეროვნული შემოსავლის დაახლოებით ოთხი მეხუთედი.

ამ პრობლემას ჯეროვანი ყურადღება დაუთმო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმმაც. „ჩვენი ავტორიტეტი დიდად არის დამოკიდებული რეგიონებში სოციალურ პოლიტიკაზე. მიღებულია ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ბევრი სპეციალური დადგენილება მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ. მაგრამ ბევრ შემთხვევაში ღონისძიებათა ნახევარზე მეტი შეუსრულებელი რჩება, თუმცა მრავალი წელი გავიდა... ამით შესამჩნევი იდეოლოგიური ზიანი გვადგება. ადამიანებს უნდა სწამდეთ ჩვენი, და ამტომ ამგვარ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის მომთხოვნელობა უნდა გავაძლიერეთ“.

ცხადია, ეს რთული ამოცანა თავისთავად არ გადაწყდება — იგი რესპუბლიკის შრომითმა კოლექტივებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ. ამ მხრივ კი ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს, რისთვისაც პლენუმზე ზოგიერთი რაიონი გააკრიტიკეს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ რაიონის და ქალაქის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა კიდევ ერთხელ გულდასმით უნდა გადახედონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ ერთობლივ დადგენილებას მათი რაიონის თუ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ და რაღაცა დასკვნები გამოიტანონ, რაც ხელს შეუწყობს დასახულის უთუო შესრულებას.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ახალციხის რაიონში?

ამ უვიდიოდე წლის წინათ რაიონის სახალხო მეურნეობის დარგები ჯერ კიდევ ნელა მიიწევდა წინ, რაც არ შეესაბამებოდა მის ბუნებრივ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს. საერთოსამეურნეო და ინდუსტრიული განვითარებითაც იგი საგრძნობლად ჩამორჩებოდა რესპუბლიკის ცენტრალურ სამრეწველო რეგიონებს.

ამიტომ ახალციხის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ზრდის, მისი შრომითი და ბუნებრივი რესურსების უფრო სრულად გამოყენების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და სამხრეთ საქართველოს საწარმოო ძალების განვითარებაში რაიონის წვლილის გადიდების უზრუნველსაყოფად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 29 ოქტომბერს მიიღეს ერთობლივი დადგენილება „1979-1985 წლებში ახალციხის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რის საფუძველზეც შედგა შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა. იგი 57 პუნქტს შეიცავს.

აქვე საჭიროა მკითხველმა იცოდეს, რომ თითოეული ეს პუნქტი თავის მხრივ სტრუქტურულად რთულია და მრავალი ობიექტის აშენებას გულისხმობს. მაგალითად, ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით საქართველოს სსრ ყოფილ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და განათლების სამინისტროს 1980-1985 წლებში სკოლები უნდა აეშენებინათ ქალაქ ახალციხესა და ვალეში, სოფლებში სხვილისში, სვირში, მინაძეში, ანში, კლიღში, თისელში, წნისში, ნაოხრებში, წირაში, აგარაში, ხაკში და ზემო სხვილისში (ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ეს პუნქტი თითქმის შეუსრულებელი დარჩა — სკოლა მხოლოდ ანში აშენდა).

დადგენილებით გათვალისწინებული ყველი გავიდა და ახლა შავი მიიძლება ერთგვარი შეჯამება. არქივი სახარბიელო სურათს ვიღებულობთ: 57 პუნქტიდან დოესდღეობით შესრულებულია მხოლოდ 19; მართალია, გაჭიანურებით, მაგრამ მაინც სრულდება 14 პუნქტი. ხოლო დარჩენილი 24 პუნქტის ობიექტები ჯერ დაწყებულიც არ არის. ამაში რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები, ორგანიზაციები და უწყებები რომ სცოდავენ, თქმაა, მაგრამ საქმის მეორე მხარეც აქვს: საინტერესოა თვით რაიონის ხელმძღვანელების, მშრომელების, კომუნისტების აზრი, დამოკიდებულება და მრწამსი.

— დადგენილების საკმაო ნაწილი შესასრულებელი დარჩა, — ვეკითხები რაიონის ხელმძღვანელებს, — თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენი, ესე იგი, რაიონის მიზეზით არ შესრულებულიყო რომელიმე პუნქტი?

— ჩვენი მიზეზით? არა! ჩვენ რატომ შევიფერებდით — თუკი აგვიშენებენ!

ამ საგაზეთ საუბრისას ახალციხელი ამხანაგების ლექსიკონში ერთობ ხშირად მეორდებოდა ტერმინები: „თუკი აგვიშენებენ“, „თუკი დაგვიპროექტებენ“, „თუკი გამოგვიგზავნიან, დაგვეხმარებიან. დაგვიმონტაჟებენ, დაგმოგვირიჭავენ, გაგვირეშონტებენ“... უნებლიეთ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი მხოლოდ ცალმხრივად უდგებიან ამ დადგენილებას, და რამდენადმე ბუნდოვნად ესმით რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა: დადგენილება მიღებულია, შესაბამის სამინისტროს კონკრეტული დავალება და შესრულების ვადა განსაზღვრული აქვთ და, კი, ბატონო, აგვიშენონ! მაგრამ პირადად თვითონ?

დაგეგმილ, მაგრამ შეუსრულებელ ობიექტთა ნუსხის ერთ-ერთ გრაფაში, შესაბამისი სამინისტროს გვერდში, მოკლედ და გასაგებად არის ჩამოყალიბებული შეუსრულებლობის მიზეზი — „სახსრების სიმცირის გამო“. დიახ, თითოეული სამინისტროს ეკონომიკური ძლიერება ხომ პირდაპირ კავშირშია იმასთან, თუ მთელი რესპუბლიკა, მისი ყოველი რაიონი როგორ ასრულებს საეგმო დავალებებს, როგორია ეფექტიანობა, რენტაბელობა, მოგება, საერთოდ, ეკონომიკური სიძლიერე.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ რაიონში? არადამაკმაყოფილებელი. შარშან ბოსტნეულის, კვერცხისა და ხორცის გარდა ვერ შესრულდა მარცვლეულის, კარტოფილის, ხილის, რძის, მატყლის წარმოების გეგმები. თანაც ბოსტნეულისა და კვერცხის გარდა გაძვირებულია ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება. რენტაბელობის დონე გეგმის მიხედვით უნდა ყოფილიყო 37, ფაქტიურად კი შეადგენს 18,2 პროცენტს. გასულ ხუთწლედში რაიონმა, რომლის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, ვერ შეასრულა ძირითადი მაპროფილებელი კულტურების — მარცვლეულის, ხილისა და კარტოფილის საგეგმო მაჩვენებლები. ამ პერიოდში, მაგალითად, კარტოფილის წარმოების გეგმა შესრულდა მხოლოდ 70 პროცენტით და სახელმწიფოს დააკლდა 25.075 ტონა. ეს კი თითქმის ორი წლის მოსავალია! მისმა საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ საგეგმო 129-ის ნაცვლად შეადგინა 90 ცენტნერი. ერთი მეტად საინტერესო დეტალი. ომამდე, როცა, რასაკვირველია, არ იყო არც ამდენი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, არც ორგანული და მინერალური სასუქები, როცა აღ გვყავდა ამდენი უმაღლესდამთავრებული სპეციალისტი და მიწას მამაპაპური წესით ამუშავებდნენ, ახალციხის რაიონში 1936 წელს კარტოფილის საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი იყო 101, 1939 წელს — 130 ცენტნერი, ხოლო შარშან წყალთბილას, აბათხევის, პამაჯის, საძელის, სხვილისის, წყრუთის, მინაძის საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ 70-80 ცენტნერი ძლივს მოიწიეს.

ოდითგანვე მეხალეობით განთქმულ მხარეს დღეს ვეღარც ამ დარგში აქვს რამე თავმოსაწონებელი. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ — 1973 წელს შესრულდა წარმოების გეგმა. შარშან ჩაბარებული ხილის 80 პროცენტი კი მდარე ხარისხისა და უსტანდარტო იყო, რის გამოც 590 ათასი მანეთით იზარალეს. პირდაპირ უნდა ითქვას, მესმა მეხილეებმა იოლად დათმეა ტრადიციები: აქაური ვაშლისა და მსხლის მაღალხარისხიანი ჩირი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ რუსეთსა და უცხოეთში, ხოლო მესხური ვაშლის ჯიშმა ამბილაურმა 1912 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე ოქროს მედალი მოიპოვა!

რა იყო მიზეზი ასეთი წარუმატებლობისა? რა და, მუშაობა მიმდინარეობდა ძველებურად, სიახლე და ინიციატივა ძნელად იკვლევდა, გზას, პარტიის რაიკომი თხვლობა და ავანგარდულობის გრძნობა, ამიტომ მათ ადარ შეეძლოთ მაგალითი ეჩვენებინათ და გასძღოლოდნენ მშრომელთა კოლექტივებს. ანდა, წინ გაძღოლს ვიღა ჩიოდა, როცა თვით კომუნისტები ირღვევენ დისციპლინას: ბოლო ორწელიწად-ნახევარში სხვადასხვა სახის სასჯელი დაედო 137 კომუნისტს, ხოლო 29 პარტიიდან გაირიცხა! რაკი აშკარად შესუსტდა კომუნისტთა გავლენა, მათი პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობა, პარალელურად დაქვეითდა შრომისა და საშემრულებლო დისციპლინა, პასუხისმგებლობის გრძნობა. ამაზე ციფრები იმეტყველებენ. რაიონში ირიცხება ათასობით შრომისუნარიანი კაცი. აქედან შარშან საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობა არ მიუღია 2386-ს. 330-ზე მეტი უნებართვოდ იყო წასული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ჯიბის გასასქელებლად, ხოლო 2.000 შრომისუნარიანი მხოლოდ პირადი დამხმარე და საოჯახო მეურნეობით იყო გართული. სოფლად მცხოვრები ათასობით შრომისუნარიანი მოსახლეთან შარშან საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობა მხოლოდ 5.404 კაცი (ციფრებში რამე შეცდომა არ გეგონოთ!), რომელთა 39 პროცენტს სავალდებულო მინიმუმიც კი არა აქვს გამომუშავებული!

აი, ასეთი მდგომარეობის შემდეგ, აბა, რომელი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის სრულ რეალიზაციაზე შეიძლება ლაპარაკი. არა, ასე საქმე თავს ვერ დაიცვრს! საჭიროა ორმხრივი, ურთიერთგაგებასა და თანადგომაზე დამყარებული დამკვრელური შრომა.

რაიონის შრომითს კოლექტივებს, დაბგის ხელმძღვანელებს, მთელი რესპუბლიკა, მისი ყოველი რაიონი როგორ ასრულებს საეგმო დავალებებს, როგორია ეფექტიანობა, რენტაბელობა, მოგება, საერთოდ, ეკონომიკური სიძლიერე.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ რაიონში? არადამაკმაყოფილებელი. შარშან ბოსტნეულის, კვერცხისა და ხორცის გარდა ვერ შესრულდა მარცვლეულის, კარტოფილის, ხილის, რძის, მატყლის წარმოების გეგმები. თანაც ბოსტნეულისა და კვერცხის გარდა გაძვირებულია ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება. რენტაბელობის დონე გეგმის მიხედვით უნდა ყოფილიყო 37, ფაქტიურად კი შეადგენს 18,2 პროცენტს. გასულ ხუთწლედში რაიონმა, რომლის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, ვერ შეასრულა ძირითადი მაპროფილებელი კულტურების — მარცვლეულის, ხილისა და კარტოფილის საგეგმო მაჩვენებლები. ამ პერიოდში, მაგალითად, კარტოფილის წარმოების გეგმა შესრულდა მხოლოდ 70 პროცენტით და სახელმწიფოს დააკლდა 25.075 ტონა. ეს კი თითქმის ორი წლის მოსავალია! მისმა საშუალო ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ საგეგმო 129-ის ნაცვლად შეადგინა 90 ცენტნერი. ერთი მეტად საინტერესო დეტალი. ომამდე, როცა, რასაკვირველია, არ იყო არც ამდენი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, არც ორგანული და მინერალური სასუქები, როცა აღ გვყავდა ამდენი უმაღლესდამთავრებული სპეციალისტი და მიწას მამაპაპური წესით ამუშავებდნენ, ახალციხის რაიონში 1936 წელს კარტოფილის საშუალო ჰექტარობრივი მოსავალი იყო 101, 1939 წელს — 130 ცენტნერი, ხოლო შარშან წყალთბილას, აბათხევის, პამაჯის, საძელის, სხვილისის, წყრუთის, მინაძის საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ 70-80 ცენტნერი ძლივს მოიწიეს.

ოდითგანვე მეხალეობით განთქმულ მხარეს დღეს ვეღარც ამ დარგში აქვს რამე თავმოსაწონებელი. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მხოლოდ ერთხელ — 1973 წელს შესრულდა

ჯერი თქვენზეა, ყმაწვილებო!

ორიოდ კვირაც, და დადგება პირველი სექტემბერი — ცოდნისა და ახალი სასწავლო წლის დაწყების დღე. წელს იგი დაემთხვა ღირსსახსოვარ თარიღს: 110 წლის წინათ, 1876 წელს გამოიცა ორიგინალური სახელმძღვანელო „დედა ენა“, ანუ პირველი საკითხავი წიგნი სახალხო სკოლებისათვის“, რომელიც გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა შეადგინა. ვინ მოთვლის, რამდენ თაობას გაუღო ცოდნის სამყაროს სარკმელი ამ უბერებელმა წიგნმა, რამდენი აზიარა დედაენის საუნჯეს. გადის წლები, ათწლეულები, მაგრამ საუცხოოდ შედგენილი, კოხტა „დედა ენა“ ერთერთ პირველ სასკოლო სახელმძღვანელოდ რჩება.

ყმაწვილთა ცხოვრების დიდი მოვლენის — პირველი სექტემბრის წინ, ბუნებრივია, მათ აინტერესებთ, თუ როგორ უზრუნველყოფენ წიგნებით, სასკოლო სახელმძღვანელოებით.

საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით ამის შესახებ გვესაუბრება **საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოთა სამმართველოს უფროსი ნ. ღლონტი.**

— 84 დასახელების სახელმძღვანელო, რომელთა საერთო ტირაჟი ოთხ მილიონს სჭარბობს, — ასეთია ჩვენი ნობათი ბავშვებისათვის ამ ახალ სასწავლო წელს. აღნიშნული საერთო რაოდენობიდან 18 დასახელების წიგნი პირველად გამოდის. მათ შორის არის სახელმძღვანელოები ახალ საგნებში, რომელთა სწავლება დაიწყება სკოლის რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად. ეს წიგნები გახლავთ „გარესამყაროს გაცნობა“ (მეორე კლასი), „სათანადო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია“, რომელიც მე-9-მე-10 კლასების მოსწავლეებისათვის არის განკუთვნილი, „ეკონომიკური განათლება — ბავშვებს“, რომელიც ი. ბაქრაძეს შეადგინა მე-8, მე-9 და მე-10 კლასების მოსწავლეებისათვის.

„ეთიკის“ სახელმძღვანელო კარგ სამსახურს გაგვიწევს ისეთ ფაქიზსა და რთულ საქმეში, როგორიც არის ბავშვებისათვის გრძნობათა კულტურის ჩამოყალიბება. მეორე სახელმძღვანელო — ეკონომიკისა — მოწაფეებს დაეხმარება დაეუფლონ ეკონომიკური ცოდნის საფუძვლებს — სოციალისტური საკუთრების, გეგმის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის, ხელფასის ცნებებს...

ორიგინალური სახელმძღვანელო — მე-10 კლასისათვის გამეორებული „ინფორმატიკა“ და გამოთვლითი ტექნიკა“ — ცოტა უფრო გვიან გამოვა. წიგნის გამოცემამდე გზეთი „სახალხო განათლება“ რეგულარულად გამოაქვეყნებს ამ საგანში გაკეთილების მასალებს.

ახლადფილი სასწავლო წლის სიახლეთა შორის არის ავტორთა ჯგუფის „რუსკოე სლოვო“ და „რუსკაია რეჩ“ მეორე და მესამე კლასების მოსწავლეებისათვის, „რუსი ია ზიკ“ მეშვიდე კლასისათვის. რუსულ ენაზე მეორე კლასელთათვის განკუთვნილი „ქართული ენის გრამატიკის“ გამოცემით დამთავრდება ამ სახელმძღვანელოს განახლების პროცესი.

უკანასკნელი წლების მანძილზე სომხური და აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეები პირველად მიიღებენ ქართული ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს ეკონომიკური და ფიზიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოებს. დანარჩენ სახელმძღვანელოებს — სულ 86 დასახელებას — შემოვიტანთ ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკებიდან.

საქართველოს რუსული ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების მოსწავლეებისათვის გამომცემლობა „განათლებამ“ გამოუშვა მე-4, მე-5, მე-8 და მე-9 კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოები „საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია“ მე-7 კლასისათვის.

პოლიგრაფიული შესრულების სირთულის გამო გვიანდება არაბული, თურქული, სპარსული ენების სახელმძღვანელოთა გამოცემა. კოხტად გამოცემული ახალი სახელმძღვანელოების სრულ კომპლექტებს ტრადიციულად საჩუქრად მიიღებს ყველა პირველკლასელი, სრული კომპლექტებით იქნებიან უზრუნველყოფილნი თერმოტექნიანი სკოლის მეორე და მესამე კლასების, აგრეთვე მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 კლასების მოსწავლეები. დანარჩენები კი ისარგებლებენ სკოლების საბიბლიოთეკო ფონდების სახელმძღვანელოებით, ნაწილობრივ — ახალი გამოცემებით. ზოგადი საშუალო განათლების თვისებრივად ახალ დონეზე გადასვლა ენებისა პრაქტიკულად სკოლის საქმიანობის ყველა მხარეს, და. ბუნებრივია, ამ მხრივ დიდი ამოცანები დგას იმათ წინაშე, ვინც სასკოლო სახელმძღვანელოებს ქმნის და გამოსცემს. სწორედ ამიტომ, ყველა სახელმძღვანელო შეიქმნება საკონკურსო შერჩევის საფუძველზე, მეცნიერთა და მასწავლებელთა ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობით. მაგალითად, საქართველოს განათლების სამინისტრო ამ შემოდგომაზე გამოაცხადებს კონკურსს ზოგიერთ საგანში საუკეთესო სრულყოფილი სახელმძღვანელოების შექმნისათვის.

— გამომცემლები და პოლიგრაფისტები, ყველანი, ვინც ფილნაყარია ამ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმესთან, შეეცადნენ ჯეროვან დონეზე გამოშვათ სახელმძღვანელოები, თქვა სიტყვის დასასრულს ნ. ღლონტმა. — ახლა ჯერი მოსწავლეებზეა — მათ ფრიადზე უნდა ისწავლონ და გაუფრთხილდნენ წიგნებს, რათა გაუხანგრძლივონ სიცოცხლე.

მეცხვარეთა საზრუნავი

სილნაღის რაიონის ერთ-ერთ უდიდეს მეურნეობაში — ტიბაანის მეცხვარეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანებაში 17 ათასი სული ცხვარი ჰყავთ. აქ მეცხვარეობა სამრეწველო საფუძველზე ვითარდება. ახლა ათას სულზე მეტი კარგად მოვლილი ცხვარი ჰყავთ სასუქებელ მოედანზე. მწყემსების წარმატების საფუძველი საკვების მყარი ბაზაა. გაერთიანების მექანიზატორებმა გადაწყვეტეს ზამთრისთვის დაამზადონ 800 ტონა სენაჟი, 600 ტონა თივა, დიდძალი სხვა საკვები.

ხურათებზე: საკვების დამზადებისა და ცხვრის მოვლისას თავი გამოიჩინა ახალგაზრდა მეცხოველემ გიორგი ხატიაშვილმა; იზრდება თვის ზვინები ტიბაანის მეცხვარეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანებაში.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კურსით

ილვიან ახალგაზრდები

ნითხის დონის პნევმატიკური საგანლიბატორი შეიმუშავეს რუსთავის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ავტომატმრეწველის“ სპეციალისტებმა. იგი გამოირჩევა ჩვენებათა დიდი სიზუსტით, სიმტკიცითა და ეკონომიკურობით.

ხელსაწყოს სპეციალური მოდიფიკაცია შეიმუშავეს და დაამზადეს ქართველმა სპეციალისტებმა ჩრდილოური შესრულებით. ესი დანერგვა დაიწყება ბიისკში, კრასნოიარსკსა და ნორილსკში.

ხელსაწყოს შემქმნელებმა — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ახალგაზრდა თანამშრომლებმა თემურ როგიშვილმა, ვალერი დევრისაშვილმა, ვალერი ბუდნიკო

დაჩქარება და გარდაქმნა მეცნიერებაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი კურსი, რომლის სტრატეგიულ მიმართულებად პარტიის XXVII ყრილობამ აღიარა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ დარგობრივი სამეცნიერო ორგანიზაციები ზშირად წლების განმავლობაში ტკეპნიან ერთ ადგილს, უქმად მუშაობენ, მათმა საქმიანობამ დაკარგა შემოქმედებითი ხასიათი, სამეცნიერო-კვლევითი გეგმები გადატვირთულია წვრილმანი თემებით, უმიზნოდ ხარჯავენ ფულად სახსრებსა და მატერიალურ საშუალებებს.

გასაგებია, რომ ასე ვეღარ გაგრძელდებოდა. დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სკოლების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ძირფესვიან გარდაქმნას, თემატური და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებათა გეგმების გადახედვას, მეცნიერებისა და პრაქტიკის შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებას მოითხოვს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით მეცნიერების სხვადასხვა დარგის პერსპექტიული განვითარების კოორდინაციის სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი განახლებას რესპუბლიკის ყველა სამეცნიერო ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებათა თემატური გეგმები შეიცავს აქტუალურ პრობლემებს, რომელთა სრულყოფილად გადაწყვეტა სახალო მეურნეობას ნამდვილად დიდ ეკონომიკურ შედეგს მისცემს. მაგალითად, საქართველოს მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში მნიშვნელოვნად ფართოვდება და ღრმავდება მეცნიერული მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაში ინტენსიური მებაღეობის განვითარების საკითხებზე. საქმე ის არის, რომ აგროწესები, რომლებიც დამუშავებული იყო ჩვეულებრივი ბაღებისათვის, ნაკლებად გამოდგება ინტენსიური მებაღეობისათვის. ამიტომ აგროტექნიკის ყველა საკითხი, დაწყებული ნიადაგის მოვლით, მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებით, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანით, რწყვის ნორმების დადგენით და სხვა, ხელახლა არის შესასწავლი.

ამ ინსტიტუტის თემატიკაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვენახების მოსავლიანობის გაზრდის კომპლექსური სისტემის დამუშავებას და ყურძნის ხარისხის გაუმჯობესებას ახალი, მაღალტანამბიანი ვენახების გაშენების საფუძველზე; ფართოვდება მუშაობა ვაზის ნერგების წარმოების გასაღიდებლად, რაც საგრძნობლად აჩქარებს ახალგაშენებული ზვრიდან მოსავლის მიღებას.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში გრძელდება მუშაობა ახალი ჯიშის ჩაის „ყოლხეთის“ მბილოგიური მაჩვენებლების (მოსავლიანობის ზრდა, კოფეინის, ტანინის და სხვა ექსტრაქტული ნივთიერებების შემცველობის გადიდება) გაუმჯობესებისათვის: ინსტიტუტის თემატურ გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ციტრუსოვანი კულტურების სელექციას, ფართოვდება კვლევები კაკლოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურების აგროტექნიკური პარამეტრების დასადგენად ადგილობრივი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

მეცნარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ამუშავებს მავნებლებისაგან, ავადმყოფობებისაგან და სარეველებისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვის ინტეგრირებულ სისტემას, რამაც უნდა უზრუნველყოს დანაკარგების შემცირება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. პრობლემა უაღრესად მნიშვნელოვანია და იგი მოიცავს რესპუბლიკის საზაგრომრეწვის სისტემაში დანერგილ თითქმის ყველა კულტურას, დახურულ გრუნტში ბოსტნეულის წარმოების ჩათვლით. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი გეგმა თვალსაწინაზე ისეთი პერსპექტიული საკითხების შესწავლას, როგორიცაა: „მეთოდური და ტექნოლოგიური პრინციპების დამუშავება პროგნოზისა და სიგნალიზაციის ავტომატიზებული სისტემების შესაქმნელად მევენახეობაში“, მევენახეობასა და მებაღეობაში მავნებლების სხვადასხვა სახეობის გავრცელებისა და ფენოლოგიის პროგნოზირების მათემატიკური მეთოდებისა და ალგორითმების დამუშავება და სხვა.

ამ პრობლემის სიახლე და აქტუალურობა იმით გამოიხატება, რომ პირველ შემთხვევაში პროგნოზირებადი მოდელების დასამუშავებლად მიღებული იქნება საწყისი ბიოლოგიური და ეკონომიკური მასალების დამჯერებლობის უმაღლესი ხარისხი, მეორე შემთხვევაში კი 30-40 პროცენტით ამაღლდება ვაზისა და ხეხილის მავნებლების გამოვლენისა და განვითარების მოკლევადიანი პროგნოზის სიზუსტე და თავისდროულობა.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფართო გეგმები აქვთ სსრ კავშირის სახაგრომრეწვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებს. მათი სამეცნიერო-კვლევითი თემატიკური გეგმები საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების თითქმის ყველა საკითხს მოიცავს.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებათა თემატიკურ გეგმებში ვხვდებით ასეთ საკითხებსაც კი: „ფუტკრის ვარროატოზის ლიტერატურული მონაცემების გაცნობა“, რომლისთვისაც განკუთვნილია 8,5 ათასი მანეთი.

თქმა არ უნდა, ამგვარ საკითხებზე აუცილებელი არ არის ფართო მასშტაბის მეტნიერული კვლევა, მაგრამ ისეთი საკითხები, როგორიცაა — სასოფლო-სამეურნეო კულტურების უცნობი მავნებლების ან დაავადებების შემოტრა, წარმოებაში ახალი უხვმოსავლიანი ჯიშის დანერგვა და მაღალპროდუქტიული საქონლის ან ფრინველის გავრცელება, სარწყავი და მელიორირებული მიწების ეფექტიანი გამოყენება, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლება პრაქტიკაში მაღალწარმოებელური მანქანა-იარაღის დანერგვით და სხვ. მეცნიერთა მუდმივი თვალთახედვის არეში უნდა იყოს.

რესპუბლიკაში ფუნქციონირებს სოლიდური სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის შემადგენლობის, საკავშირო დაქვემდებარების კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ამ რამდენიმე წლის წინ ინსტიტუტი კავშირში მეთაური ორგანიზაციად ითვლებოდა მცირეწარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიის დამუშავების სამმეში. როგორც გამოირკვა, მისმა ხელმძღვანელობამ რატომღაც გვერდი აუარა ამ უაღრესად საჭირო პრობლემების დამუშავებას და ძირითადი აქცენტი სანელებლების და ზოგიერთი სხვა საკითხის შესწავლაზე გადაიტანა. ინსტიტუტმა ვერ შეძო აქტიური მონაწილეობა მიეღო რესპუბლიკის საკოსეერვო მრეწველობისათვის მეცნიერული რეკომენდაციების დამუშავებაში, რამაც კვების მრეწველობის ეს ფრიად მნიშვნელოვანი დარგი არასახარბიელო მდგომარეობამდე მიიყვანა.

ან კიდევ, ბოლო წლებში ბევრი საინტერესო საკითხი დამუშავდა საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში და დაინერგა პრაქტიკაში, ბევრი სიახლე ახლაც ისწავლება, მაგრამ ინსტიტუტის მეცნიერული პოტენციალის გამოყენების დღევანდელი დონე ვერ აკმაყოფილებს რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეცხოველეობის წინაშე დასმულ დიდ მოთხოვნებს, ის ვერ უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი და ურთულესი დარგის ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების განუხრელ ზრდას.

ხაზი გაესვა რა მეცნიერების განსაკუთრებულ როლს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის მესამე პლენუმზე ითქვა: „კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სახმწენის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სახაგრომრეწვის, მეცნიერებათა აკადემიის და სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე პარტიული კომიტეტების კონტაქტი, რომლებსაც შეხედულებებისა და ინტერესების უწყებრივი სივიწროვის დაძლევის დიდი ძალა აქვთ. უფრო ფართოდ უნდა გეყენებოდეთ სამეცნიერო ორგანიზაციათა საქმიანობის კოორდინაციის უფლებებს, საქიროების შემთხვევაში კი მათი თემატიკის დირექტიული განახლებასაც მივმართავდეთ“.

მაშასადამე, სამეცნიერო ორგანიზაციებმა საფუძვლიანად და კრიტიკულად უნდა გადახედონ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებათა 1986 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებს, აუარადების ცენტრი გადაიტანონ ისეთი პრობლემების დამუშავებაზე, რომლებიც ჯერჯერობით ნაკლებად არის შესწავლილი, აფერხებენ დარგის ინტენსიურ განვითარებას და რომელთა გადაწყვეტა უზრუნველყოფს დიდი ეკონომიკური ეფექტის მიღებას. რესპუბლიკის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თემატური გეგმებში კი უმრავლეს შემთხვევაში დუბლირებულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის შესაბამისი კათედრების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საკითხები, ისინი თითქმის ერთი და იგივეა.

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ არასასურველი პარალელიზმი მეცნიერულ მუშაობაში, რაც დაკავშირებულია ფინანსების, მატერიალური და შრომითი რესურსების დამატებით ხარჯვასთან, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმები უნდა დამტკიცდეს ერთობლივად, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და უმაღლესი სკოლის შესაბამისი კათედრების მეცნიერ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

გზა მშვიდობისა!

„ქალაქი-ზღაპარი“ — ასე შეარქვეს უკრაინელმა პიონერებმა ცხვარიჭამიის ბავშვთა გამაჯანსაღებელ ქალაქ „ცისკარს“, რომელიც 21 პიონერულ ბანაკს აერთიანებს. წელს იქ 3 ათასზე მეტი უკრაინელი ბავშვი ისვენებდა. ბევრი რამ საინტერესო, სასარგებლო და ახალი შეიტყვეს მათ მთელი ზაფხულის განმავლობაში. პიონერულ ბანაკებში სანიმუშო კვებისა და დასვენების შესანიშნავი პირობებია შექმნილი. პიონერები იყვნენ ექსკურსიებზე თბილისსა და მცხეთაში, ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა ნ. რამიშვილისა და თ. სუხიშვილის ხელმძღვანელობით უკრაინელი ბავშვებისათვის გამართა კონცერტი. პიონერებმა მოუსმინეს საქართველოს კამერულ ორკესტრს ლ. ისაკაძის ხელმძღვანელობით. „ცისკრელები“ ეზიარნენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის, მარიონეტების, თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული და პანტომიმის თეატრების ხელოვნებას, ნახეს სახელმწიფო ცირკის წარმოდგენა. ბანაკებში ბევრი საინტერესო ღონისძიება მოეწყო, მათ შორის კონკურსი ხატვაში დევიზით „მშვიდობა — პლანეტა დედამიწას“, დისპუტები, მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება და სპორტული შეჯიბრებები. ნონა გაფრინდაშვილმა ერთდროული საჭადრაკო სეანსი გამართა პიონერებთან. ისინი შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან ადამიანებს.

ხალისიანად და შინაარსიანად ჩატარებულმა დღეებმა, სასიამოვნო ატმოსფერომ, რაც ყველგან სუფევდა, სიხარული მოჰგვარა უკრაინელ პიონერებს და, რაც ყველაზე მთავარია, უკრაინელმა და ქართველმა პიონერებმა ერთხელ კიდევ შეიცნეს მეგობრობის ფასი: ერთად გატარებულმა შინაარსიანმა ბანაკურმა ცხოვრებამ დაამეგობრა ქართველი მალხაზ გორდაძე და უკრაინელი იგორ პოსტოპულსკი, სომები ალბერტ ოჰანესიანი და უკრაინელი ვადიმ ლიფულკა, ქართველი თამარ გიორგაძე და უკრაინელი ნატალია რევუკი...

... და აი, მიიწურა სანტერესო, ხალისითა და ბედნიერებით აღსავსე პიონერული ზაფხული. დადგა უკრაინელი პიონერების შინ დაბრუნების დრო. მიმდინარე საზაფხულო სეზონის საზეიმო დახურვა, რომელიც კვირას, 17 აგვისტოს გაიმართა პიონერულ ქალაქ „ცისკარში“, ბედნიერი ბავშვობის, ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის კიდევ ერთ ნათელ დემონსტრაციად გადაიქცა.

ამ დღეს ბავშვებს ბევრი სტუმარი ეწვია. მათ შორის იყვნენ ცნობილი მეცნიერები, მწერლები, სპორტსმენები, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები.

პიონერებს სიტყვებით მიმართეს და გზა დაულოცეს საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. კვაჭაძემ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ნ. ვასაძემ, საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. მარგველიძემ, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. სანგბლიძემ, სოციალისტური შრომის გმირმა, მწერალმა გ. აბაშიძემ, საბჭოთა კავშირის გმირმა, პროფესორმა ი. ციციშვილმა, საერთაშორისო დიდოსტატმა ნ. იოსელიანმა, თბილისელმა მოსწავლემ მ. შელიამ. უკრაინელი მშობლების, მასწავლებლებისა და პიონერების სახელით სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს კიევის ოლქის ბავშვთა გამაჯანსაღებელი შტაბის წარმომადგენელმა, დელეგაციის ხელმძღვანელმა ტ. ერმაკოვამ და უკრაინელმა პიონერმა რ. ლინიჩმა.

ცას სწვდება პიონერული კოცონის ალი...

დაბლა ეშვება საქართველოს სსრ, უკრაინის სსრ და პიონერული ქალაქის „ცისკრის“ დროშები, ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

გვიანობამდე ისმოდა ხალისიანი სიმღერები და ლექსები ქართულ, რუსულ და უკრაინულ ენებზე. ქართველმა და უკრაინელმა ყმაწვილებმა სტუმრებსა და თანატოლებს თავიანთი შემოქმედება უჩვენეს. „მშვიდობით, მომავალ შეხვედრამდე!“ „გზა მშვიდობისა!“ — ირგვლივ გაისმოდა მხიარული შეძახილები. 20 აგვისტოს უკრაინელი სტუმრები სამშობლოში გაემგზავრებიან.

• • •

ცხვარიჭამიას ბავშვთა გამაჯანსაღებელი ქალაქის „ცისკრის“ საზაფხულო სეზონის საზეიმო დახურვას დაესწრნენ ამხანაგები ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია.

ლ. მიტიჩაშვილი.

სურათებზე: უკრაინელი მოსწავლე ირინე ტერეშჩუკი; ზეიმი პიონერულ ქალაქ „ცისკარში“.

ი. შლამოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თრიალეთობა

ხელიხელჩაკიდებული ცხოვრობენ და იღვწიან წალკის ზაარონის მშრომელები — ქართველები, რუსები, ბერძნები, ხომლები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, რომელთაც ახლანდელ უკვე მეექვსედ იდღესასწაულეს შრომის, ხალხთა ძმობისა და ინტერნაციონალური მეგობრობის დღესასწაული — თრიალეთობა.

სტუმრები და მასპინძლები დილიდანვე შეიკრიბნენ დიდების მემორიალთან და პატივი მიაგეს ღირსეულ მამულიშვილთა ხსოვნას. აქედან კოლონები ვ. ი. ლენინის ძეგლისაკენ დაიძრნენ, გვირგვინებით და ყვავილებით შეამკეს ძეგლ. ამ შემდეგ ზეიმმა ახალგაზრდობის, ცენტრის, ადგილობრივ — „ბელოსტოკი“, „ალიანსი“ — ... ანსამბლებმა, ...

გამართა მხატვრული განყოფილება თბილისის, თეთრი წყაროს, დმანისის, წალკის რაიონების თვითმოქმედი კოლექტივების მონაწილეობით; დღესასწაული დაამშვენა სპორტულმა ასპარეზობამ, დისკოთეკამ და სახალხო სეირნობამ, რომელიც გვიანობამდე გაგრძელდა.

(„კომუნისტის“ კორ.).

ყაბალი

პოტენციისა და თეორიის იმედით

კიევში გამართული უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრის შემდეგ (აქ ადგილობრივმა დინამოელებმა უმასპინძლეს მინსკელ თანაკლუბელებს და მოუგეს ანგარიშით 3:2), გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ	8	6	1	24-13	22
„ზენიტი“	8	6	5	31-20	22
„შახტიორი“	8	6	5	29-20	22
„ტორპედო“ მ	7	8	5	22-20	22
„სპარტაკი“	8	5	7	35-17	21
„დინამო“ მ	7	7	4	22-19	21
„დნეპრი“	7	7	6	28-26	21
„ნეფტჩი“	6	9	5	23-20	21
„დინამო“ თბ	6	8	6	18-21	20
„ჩერნომორეცი“	7	5	8	20-20	19
„ჟალგირისი“	7	4	9	17-23	18
„ყაირათი“	6	6	8	15-25	18
„დინამო“ მნ	6	5	9	19-30	17
„მეტალისტი“	5	7	7	13-16	17
„არარატი“	5	6	9	13-21	16
„ტორპედო“ ქთ	4	5	11	17-37	13

როგორც ვხედავთ, თბილისის „დინამო“ გათამაშების ცხრილში 20 ქულით მეცხრე ადგილზეა და თუ უკეთ თამაშებს, ლიდერთა ჯგუფში მოქცევის თეორიული მასსიც აქვს. ქულები ქულებად, მაგრამ თბილისელთაგან მათი ქომაგები მარტო ქულებს როდი მოითხოვენ — რაც უმთავრესია, მათგან თამაშის დახვეწას მოელიან. ამის თაობაზე პრესის ფურცლებზე გულისტკივილით აღსავსე არაერთი წერილი დაიბეჭდა. ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას, „ავადმყოფობა ქრონიკული ხომ არ გახდა?“, თბილისის „დინამოს“ ბევრი გულშემატკივარი გამოეხმაურა. მაგალითად, გადამდგარი ინჟინერ-პოლკოვნიკი, თბილისელი **ს. წულაძე**, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, თბილისელი **ი. დოდელია**, ქუთაისელი **მ. სიხარულიძე**, თბილისელი **ვ. სირაძე**, ომისა და შრომის ვეტერანები, ბათუმელი **მ. სხვიტორიძე** და სხვები დინამოელთაგან სათამაშო ხარისხის გაუმჯობესებას, მეტ შემართებასა და თავდადებას მოითხოვენ. გამოთქვამენ გულისტკივილს იმის გამო, რომ ისინი მოედანზე უნიათოდ მოქმედებენ, რომ გუნდის თამაშის ტექნიკური დონე დაბალია, ტაქტიკა და სათამაშო ორგანიზაცია კი ღარიბი. ეს არაერთგზის გამოთქმული შეშფოთება ხომ ბოლოს და ბოლოს უფრად უნდა ვიღოთ, მთელი ძალები მოვახმაროთ საფეხბურთოო მოედანზე მარგი ქმედების კოეფიციენტის გამოვლენას?

საგუშაგოს არდადეგები არა აქვს

საზღვრისპირა სკოლის მოსწავლეები მთელი წლის მანძილზე არ წყვეტენ საზღვართან დამყარებულ მტკიცე კონტაქტებს.

...„სადეგერსიო“ ჯგუფი შორს მთებში წავიდა. მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების რაზმს უნდა მიეგნო მისი კვალისთვის, გარს შემორტყმოდა და გაეუვნებლებინა „საზღვრის დამრღვევები“. დადგენილი დროის შემდეგ რაზმის მეთაურს მეცხრეკლასელი ელგუჯა ვანილაში მოახსენებდა, რომ დავალება წარმატებით შესრულდა.

— ასეთ თამაშებს ბავშვები ძალზე სერიოზულად მოეკიდნენ და მისთვის საფუძვლიანად ემზადებოდნენ, — თქვა მესაზღვრეთა ნორჩი მეგობრების რაზმის ინსტრუქტორმა, მესაზღვრემ ვასილ ლუცაევმა — იმისათვის, რომ სდიო საზღვრის დამრღვევს, საჭიროა გარკვეული ჩვევები, რომლებსაც მხოლოდ სისტემატური მეცადინეობის, ვარჯიშის შემდეგ შეიძენენ. ზარმაცები, როგორც წესი, არ გვყავს — საზღვარს ისინი არ სჭირდება.

რაზმში ოცდაათი კაცია. მაგრამ ყველა ვერ ახერხებს მის წევრად გახდომას. აქ შერჩევის განსაკუთრებული პირობები აქვთ. ფიზიკური მონაცემების გარდა, ითვალისწინებენ სწავლის მაჩვენებელს. ამიტომ ყველა ბავშვი ოთხებზე და ხუთებზე სწავლობს.

— სოფლად დარჩენილ ბავშვებთან ერთად საგუშაგოზე ყოველდღე დავდივართ, — თქვა მე-8 კლასის მოსწავლემ ამირან ჯეგაბშამ. მეომრებისაგან ვსწავლობთ დისციპლინასა და წესრიგს,

— დარწმუნებული ვარ, რომ გოგონასაც შეუძლია თავი გამოიჩინოს საზღვარზე, — თქვა მერეკლასელმა ინდირა ახალაძემ. — მაგალითის მოსაყვანად შორს არ წავალ. ხომ დაეხმარა მესაზღვრეებს საზღვრის სამი დამრღვევის დაკავებაში 13 წლის აჭარელი პიონერი ლანა მარგველიანი. ამ ამბავზე მაშინ მრავალი გაზეთი წერდა...

დაუფარავი სხიამაყით გვიჩვენებენ ბავშვები, თუ როგორ შეუძლიათ კვალის „წაკითხვა“, როგორ ფლობენ სასროლ იარაღს, როგორ წყვეტენ ტაქტიკური ამოცანას, როგორ ადევნებენ თვალყურს კვალსაკონტროლო ხაზს. შემდეგ გვიჩვენებენ სპატარა სიგელებს, რომლებიც რაზმს მიენიჭა, ალბომებს, სადაც აღბეჭდილია მათი და მესაზღვრეების სადაგი დღეები...

თ. ბენძეხაძე,
საქინფორმის კორ.

„მისი აზრი გვიძღოდა წინ“

„კომუნისტის“ პუბლიკაცია

ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და მწერალს იოსებ იმედაშვილს უმდიდრესი არქივი დარჩა. ბევრი რამ არის ამ არქივში საინტერესო და გამოსაქვეყნებელი. მწერლის ვაჟმა, პროფესორმა გიორგი იმედაშვილმა ილია ჭავჭავაძის თარიღთან დაკავშირებით შემოგვთავაზა ი. იმედაშვილის მიერ ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძის დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვა 1927 წლის 29 აპრილს, რომელიც პირველად ქვეყნდება.

დღეს ხელახლად გადაიხსნა ის ჭრილობა, რომელიც ამ ოცი წლის წინად წიწამურის ტრაგედიის გამო მძიმე დაღად და საშვილიშვილო სირცხვილად დაჩნდა ქართველ ერს, მთელ საქართველოს!..

ახლა მიწას ვაბარებთ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს დიდი ჭირისუფლის, ქართველი ხალხის წინამძღოლის და საიმედო პატრონის ილია ჭავჭავაძის ცხოვრების თანამგზავრს, მის ღირსეულ მეუღლესა და თანამზრახველ ოლღა თადეოზ გურამიშვილის ასულს, ვინც მასთან ერთად ეწეოდა ჭიროლის ჭირის ძმიე ჯაპანს და თავისი მეუღლის ნარ-ეკლით მოფენილ ცხოვრებისა და სისხლიან საკვდილს უმწიკვლო ზვარაკად შეეწირა.

რა არის წიწამურის ტრაგედია? განა ეს სიტყვით გადმოიცემა? განა შეიძლება კალმით აღიწეროს, ან თუ ენით გამოითქვას ის საზარელი უბედურება, რაც წიწამურის პოეტურ გზაზე საქართველოს თავს დაატყდა?.. აქ შუბლი გაუგმირეს ქართველი ერის დიდ მოძღვარსა და მამას ილია ჭავჭავაძეს, ვინც მთელი თავისი ცხოვრება სამშობლო ქვეყნისათვის დაუცხრომელ შრომაში გაატარა.

ილია — პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, გზაჯი „ოვერიის“ რედაქტორ-გამომცემელი, სიტყვით და საქმით შეუდრეკელი მებრძოლი, რომელმაც თავისი ყოფნის მთავარი აზრი და მიზანი მოხვევის პირით ასე გვაცნო: „ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენდავე გვეყუდნესო“, და ამ მცნებას შეალია კიდეც თავისი სიცოცხლე. ალბათ ბევრს თქვენგანს მოეხსენება, რომ იმ დროს ილია იყო დიდი კანონმდებელი ქართული აზროვნების და ცხოვრებისა, პრაქტიკულ თუ თეორიულ საკითხებზე კამათში მხოლოდ მას ერთს შეეძლო ჩვენი მტერ-მოყვარესათვის, ქართველი ერის მტრებისათვის ღირსეული პასუხის გაცემა, ყველფერში მისი აზრი გვიძღოდა წინ. მან შეაქმნა ნამდვილი აკადემია ქართული ენისა, მწერლობისა, ჩამოაყალიბა ქართველი ხალხის სამოქმედო პროგრამა და ქართველი ერის იდეოლოგი.

აი ამ კაცის სისხლი დაათხიეს გზაბნეულმა გარეწრებმა, მაგრამ ვაი მათ!... ვაი ამ უბედურ მკვლელთა, — ეგონათ ილიას სიკვდილით მოკლავდნენ მის ნათელ აზრებს — ეროვნულ იდეალებს, იმ რწმენას, რაც ილიამ თავისი მართალი ცხოვრებით, შემოქმედებით, უანგარო მოღვაწეობითა თუ მოწამეობრივი სიკვდილით ანდერძად დაგვიტოვა... წიწამურში უმწეოდ დათხეულმა სისხლმა კეთილი ნაყოფიც გამოიღო: იქნებ ილიაც იყო ზეხაარსისაგან მოვლენილი ის ღმერთაკაცი, რომელნიც მხოლოდ იდეათაგან წამების შემდეგ ეღირსებიან ხოლმე გაზეკაცებას... და ილიაც იწამა ქართველმა ხალხმა!..

ავაზაკები ჭგონებდნენ — ილიასთან ერთად მისი მეუღლეც სასიკვდილოდ დავუჭერითო, რომელიც მთელი ოცი წელიწადი წამების ჯვარს ზიდავდა — სულით გაკაჟებული, ერთ ოთახში, რომლის ფანჯარა ილიას საფლავისაკენ იხედებოდა, ამ ქვეყნისაგან განკერძოებულ ტანჯვაში ლევდა დღეთა თვისთა!.. და დღეს ილიას სიკვდილის შემდეგ ოლღა პირველად და უკანასკნელად ამოვიდა აქ თავისი ძვირფასი მეუღლის გვერდით საუკუნოდ განსასვენებლად....

ამ დიადი მსხვერპლით მანამდე დაქსაქსული ქართველობა შეიკრა მამულის იდეით, კიდევ უფრო გაცხოველდა ერისათვის თავგანწირვის იდეა, გაძლიერდა ის წმინდა აზრი, რაც ეროვნული არსებობის დედაბოძს შეადგენს ილიას აზროვნებაში, — ეს არის ქართველი ერისა და ენის სიყვარული და მათი დაცვისათვის მტრებთან ბრძოლაში ქართველთა ერთობის განმტკიცება.

ჩვენს თაობას კიდევ ახსოვს მისი დიდებით მოსილი წარსული ... ...